კათედრების მუშაობის გაუმჯობესება თბილისის 71-ე საჯარო სკოლაში

ნინო ლაცაბიძე, ნინო ჯამბაზიშვილი, ირაკლი ზოიძე

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე განათლების ადმინისტრირების მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

განათლების ადმინისტრირების პროგრამა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ნათია ანდღულაძე, ასოცირებული პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2014

აბსტრაქტი

მოცემული ნაშრომი მიმოიხილავს 71-ე საჯარო სკოლაში საგნობრივ კათედრებთან დაკავშირებული პრაქტიკული კვლევის პროცესსა და ძირითად შედეგებს.

კვლევის საბოლოო მიზანი იყო სამიზნე სკოლაში კათედრების ფუნქციონირების ეფექტურობის გაზრდა და გაუმჯობესება. სამიზნე სკოლაში დირექტორი ცდილობდა ხელი შეეწყო კათედრებისათვის და მიემართა მათი მუშაობა მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების გაზრდისაკენ.

მონაცემები შეგროვდა თვისობრივი და რაოდენობირვი კვლევის ინსტრუმენტების მეშვეობითა და სკოლის ნორმატიული დოკუმენტების ანალიზის საფუძველზე. შედეგებმა აჩვენეს, რომ დირექტორს უნდა ეთამაშა გადამწყვეტი როლი, რათა კათედრების მუშაობა გამხდარიყო მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების გაუმჯობესებაზე ორიენტირებული.

წინასწარი მოკვლევის საფუძველზე სამიზნე სკოლის დასახულ სპეციფიურ პრაქტიკულ ამოცანებს წარმოადგენდა:

- ადმინისტრაციის მხრიდან კათედრებზე პრაქტიკული კვლევის დანერგვა;
- დირექტორის მხრიდან ლიდერის ფუნქციის შესრულება;
- ადმინისტრაციის მხრიდან სწორი დირექტივების გაცემის აუცილებლობა;
- კათედრებზე მუშაობის მოტივაციის ზრდა წახალისებისა და შეფასების ფორმების შემუშავების გზით;
- კათედრებზე ურთიერთთანამშრომლობის დანერგვა;

- მეტი დეცენტრალიზაცია კათედრების სამოქმედო გეგმისა და მიზნების შემუშავებაში.

პრაქტიკული კვლევის სხვადასხვა ეტაპზე ჩამოყალიბებული მიგნებები და რეკომენდაციები საინტერესო ინფორმაციას შეიცავს არა მხოლოდ სამიზნე სკოლისათვის, არამედ ანალოგიური პრობლემების მქონე საგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის კათედრებზე მუშაობის ეფექტურობის გაუმჯობესების სტრატეგიებზე სამუშაოდ.

ძირითადი საძიებო სიტყვები: პრაქტიკული კვლევა, საგნობრივი კათედრები, სკოლის ადმინისტრაცია, დირექტორი.